ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი

ქეთევან ფარტენაძე

საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება

სოციალური უთანასწორობისა და მიგრაციის გამოწვევები საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ბიზნეს მართვის დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი: რ.ცინარიძე

ხიჭაური - 2021

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სოციალური უთანასწორობის განმაპირობებელი ფაქტორები და მისი, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, მნიშვნელობა სოციალური მდგომარეობის შეფასებისა და ანალიზისთვის. თანამედროვე მსოფლიოში სოციალური უთანასწორობა და მიგრაცია მნიშვნელოვანი გამოწვევაა ნებისმიერი ქვეყნისთვის. ამ პრობლემების დროული იდენტიფიცირება და მათ გადასაჭრელად საჭირო გზების ძიება კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანიაისეთი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა. სწორედ ეს განაპირობებს მოცემული ნაშრომის აქტუალობას.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სოციალური უთანასწორობისა და მიგრაციის, როგორც საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლის, თეორიული ბაზის შესწავლა, საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის თანამედროვე მდგომარეობის დახასიათება არსებული უთანასწორობის გათავალისწინებით და აქტუალური საკითხების გამოვლენა მისი მახასიათებელი სტატისტიკური მაჩვენებლების შესწავლა-ანალიზის საფუძველზე.

საბოლოოდ მივიღებთ ინფორმაციას საქართველოში სოციალური უთანასწორობით გამოწვეულ პრობლემებსა და მისი თავისებურებებზე.

Annotation

This paper discusses the determinants of social inequality and it's importance as an economic category for the assessment and analysis of social status. In the modern world, social inequality and migration are significant challenges for any country. Timely identification of these problems and the search for ways to solve them are especially important for countries with economies in transition, such as Georgia. This is what makes this paper relevant.

The aim of the paper is to study the theoretical basis of social inequality and migration as a key feature of a market economy, to characterize the current state of quality of life of the Georgian population in light of the existing inequality and to identify topical issues based on its statistical indicators.

Finally, we will get information on the problems caused by social inequality in Georgia and its peculiarities.

სარჩევი

შესავალი----------5

თავი I. სოციალური უთანასწორობა, როგორც საბაზრო ეკონომიკის მახასიათებელი.....8

1.1 სოციალური უთანასწორობა, როგორც სოციალურ ეკონომიკური კატეგორია----------**8**

1.2 სოციალური უთანასწორობის გამომწვევი ძირითადი ფაქტორები, შესწავლის მეთოდოლოგია----------**10**

თავი II. მიგრაცია და საქართველოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შეფასება.....15

2.1. მიგრაციის არსი და ურბანიზაციის თანამედროვე პრობლემები საქართველოში----**15**

2.2.საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და უთანასწორობის განმსაზღვრელი სოცილურ- ეკონომიკური მაჩვენებლების მიმოხილვა----------**23**

თავი III. სოციალური უთანასწორობისა სრულყოფისა და მიგრაციის შეჩერების მიმართულებები. 34

3.1. სოციალური უთანასწორობის გაღრმავება კოვიდ-პანდემიის პირობებში.----------**34**

3.3. საქართველოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და უთანასწორობის შეფასება კვლევის საფუძველზე----------**38**

დასკვნა----------42

გამოყენებული ლიტერატურა----------45

დანართი ----------47

შესავალი

თემის აქტუალობა:სოციალური უთანასწორობა და მისით განპირობებული პრობლემები დღეს ყველა ქვეყნის მნიშვნელოვანი გამოწვევა. სახელმწიფოებს აქვთ არჩევანი უთანასწორობასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის, რადგანაც ეკონომიკური ზრდაა ხშირ შემთხვევაში სწორედ უთანასწორობის მთავარი გამომწვევი მიზეზი. რთულია ეკონომიკური განვითარებით მიღებული სიკეთეების თანაბრად განაწილება ისე, რომ საზოგადოების ერთი, რომელიმე ნაწილი არ აღმოჩნდეს უპირატეს მდგომარეობაში. სოციალური უთანასწორობა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია, ამიტომაც იგი წარმოადგენს როგორც ეკონომიკის ასევე სოციოლოგიის შესწავლის საგანს.

საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის განსაკუთრებით მწვავედ დგას უთანასწორობის პრობლემა, რადგანაც ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები ყველაზე მძაფრად სწორედ მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე აისახა. ეკონომიკური ზრდისა და განვითარების შედეგად მიღებული სიკეთით მოსახლეობა თანაბრად ვერ სარგებლობს, რაც ადამიანებს არათანაბარ მდგომარეობასი აყენებს. არსებული სოციალური უთანასწორობა, შიდა მიგრაციის გამომწვევი მთავარი მიზეზიცაა. რთულ პირობებში ჩავარდნილი ადამინები უკეთესი პირობების საძიებლად იცვლიან საცხოვრებელს მუდმივად ან დროებით, რაც ქვეყნისთვის დღეს ერთ ერთი უმწვავესი პრობლემაა.

სახელმწიფოს ვალდებულია უზერუნველყოს თავისი მოქალაქეების ძირითადი უფლებების დაცვა,რისთვისაც მისი თითოეული ნაბიჯი მიმართული უნდა იყოს ადმიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, სიღარიბის აღმოფხვრისა და უთანასწორობის შემცირებისათვის. აღნიშნულის მისაღწევად მნიშვნელოვანია შესაბამისი მოვლენების შესწავლა , მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვარა და არსებული მდგომარეობსი რეალური სურათის ასახვა,რაც განაპირობებს მოცემული თემის მნიშვნელობასა და აქტუალობას.

კვლევის მიზნები და ამოცანები: წინამდებარე ნაშრომის **მიზანს** წარმოადგენს სოციალური უთანასწორობის, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორიისა და

მისით განპირობებული შიდა მიგრაციული პროცესების შესწავლა, თანამედროვე მდგომარეობის დახასიათება და აქტუალური საკითხების გამოვლენა სხვადსხვა სტატისტიკური მაჩვენებლების შესწავლა-ანალიზის საფუძველზე. დაისახოს პრობლემის გადაჭრის გზები და ის ძირითადი პრიორიტეტები, რაც აუცილებელია მდგომარეობის გასაუნჯობესებლად. აღნიშული მიზნიდან გამომდინარე სოციალური უთანასწორობისა და მიგრაციის შესწავლის ძირითად **ამოცანებს** წარმოადგენს შემდეგი:

1. სოციალური უთანასწორობის ცნებისა და მისი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლა და ანალიზი.

2. შიდა მიგრაციული პროცესების განმაპირობებელი ფაქტორების ანალიზი და ძირიტადი ტენდენციების გამოვლენა.

3. სოციალური უთანბასწორობისა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების დახასიათება ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით.

4. ონლაინ გამოკითხვის ჩატარება და მიღებული შედეგების საფუძველზე მოსახლეობის მიერ არსებული სოციალური მდომარეობისა და უთანასწორობის სუბიექტური შეფასების ანალიზი.

5. საქართველოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ანალიზი, მიგრაციის გავლენის გათვალისწინებით, კრიტიკული სფეროების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის ობიექტია საქართველოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა არსებული უთანასწორობისა და აქტიური შიდა მიგრაციის გათვალისწინებით. კვლევის საგანს წარმოადგენს ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და სტატისტიკური მონაცემები.

კვლევის თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები: კვლევის თეორიულ საფუძვლებს წარმოადგენს: ქართველ და უცხოელ მეცნიერთა-ეკონომისტთა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის გამოკვლევები, ნაშრომები, სტატიები, სხვადასხვა სახის სამეცნიერო პუბლიკაციები.ნაშრომის დამუშავების პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა ანალიტიკური და სტატისტიკური ტიპის მასალები, გამოქვეყნებული მსოფლიო ბანკის World Bank, ეკონომიკური განვითარებისა და

თანამშრომლობის ორგანიზაციის OECD დაგაერთიანებული ერების ორგანიზაციის UN მიერ. ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და მიგრაციის საკითხთა საერობო კომისიის მიერ გამოცემული ანგარიშები და მონაცემები.

კვლევის მეთოდები: ნაშრომში გამოყენებულია ეკონომიკური ანალიზის, და სტატისტიკური მეთოდები. კვლევაში ვიყენებთ ისეთ სტატისტიკურ მეთოდებს, როგორიცაა: დაკვირვების, დაჯგუფების, სტატისტიკური მონაცემების გრაფიკული გამოსახვის , საშუალო სიდიდეების და სოციოლოგიური გამოკითხვის მეთოდებს. ასევე გამოყენებულია შედარებისა და სისტემური ანალიზის მეთოდები ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისა განსაზღვრისა და სწორი დასკვნენბის გასაკეთებლად.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისგან. ნაშრომი 50 გვერდისგან შედგება. საკითხები ნაშრომში წარმოდგენილია 6 ქვეთავის სახით. ნაშრომს თან ერთვის ჩვენს მიერ გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და დანართი.

თავი I. სოციალურიუთანასწორობა, როგორც საბაზრო ეკონომიკის მახასიათებელი

1.1. სოციალური უთანასწორობა და ცხოვრების ხარისხი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები

საზოგადოება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ მრავალფეროვანია და შედგება ერთმანეთისგან განსხვავებული მრავალი ინდივიდისგან. ამ განსხვავებებს წარმოქმნის სხვადასხვა ფაქტორები, როგორიცა ეთნიკური კუთვნილება, კულტურა, რელიგია, შემოსავლები და სხვა.მაგალითად ნებისმიერი ქვეყანაში ყოველთვის არსებობს განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის, რაც ფაქტობრივად გარდაუვალი მოვლენაა. თუმცა ობიექტურად არსებული ფაქტორების გარდა განსხვავებებს წარმოქმნის საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპებიც. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ირგვლივ არსებული უთანასწორობა გარკვეულ წილად ჩვენივე მიზეზითაა გამოწვეული, რადგანაც ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ განვასხვავოთ ადამიანები ერთმანეთისგან რაიმე ნიშნით და მათ სხვადასხვა პოზიციები მივანიჭოთ. საზოგადაოებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ მასწავლებლის პროფესია უფრო პრესტიჟულია ვიდრე ხელოსნის, კაცი უკეთესად მართავს ავტომობილს ვიდრე ქალი, რეგიონს ქალაქში ცხოვრება სჯობს და ა.შ. ამგვარი დამოკიდებულება კი ხელს უწყობს ადამიანების არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩენას.

მრავალფეოვნება ბუნებრივია, არცერთი საზოგადოება სრულიად ერთიანი არ არის და ვერც იქნება. თუმცა მნიშვნელოვანია, მოვლენების იმგვარი მართვა, რომ მრავალფეროვნება უთანასწორობაში არ გადაიზარდოს და არ იქცეს სოციალური კონფლიქტებისა თუ დაპირისპირების გაღრმავების მიზეზად. მსოფლიო მუდმივად ვითარდება და იცვლება, თუმცა ცხოვრების პირობები მაინც ძალზედ უთანასწოროა დედამიწის სხვადასხვა წერტილში. ამ ცვლილებებთან ერთად იცვლება ჩვენი ინდივიდუალური მოთხოვნილებებიც და სწორედ მასზეა დამოკიდებული ის თუ რამდენად ჯანმრთელი, მდიდარი და განათლებული იქნება თითოეული ჩვენგანი ცალ-ცალკე, შემდეგ კი მთლიანად საზოგადოება.

სოციალურ უთანასწორობასთან საქმე გვაქვს მაშინ, როცა საზოგადოებაში რესურსები არათანაბრად ნაწილდება და ყველას არ აქვს თანაბარი ხელმისაწვდომობა მასზე. უთანასწორობის ცნება მოიცავს მრავალ ასპექტს: ხმის მიცემის უფლების ხელმისაწვდომობა, სიტყვისა და შეკრების თავისუფლება, საკუთრების უფლების მასშტაბი და განათლების, ჯანდაცვის, ხარისხიანი საცხოვრებლის, მოგზაურობის, ტრანსპორტირების, დასვენების და სხვა სოციალური საქონლისა და მომსახურების ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა სოციალური უთანასწორობა შეიძლება გამოიხატოს ოჯახების ცხოვრების ხარისხში, პროფესიაში და სამსახურით კმაყოფილებაში. სოციალური უთანასწორობა არსებობს ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფებს, კლასებსა და ქვეყნებს შორის, რაც სოციალური უთანასწორობის კონცეფციას გლობალურ ფენომენად აქცევს და შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს თანამედროვე საზოგადოების წინაშე არსებულ მრავალ პრობლემას შორის ერთ-ერთი უმთავრესი სწორედ სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობაა.მის აქტუალობას და სიმწვავეს განაპირობებს ის, რომ სოციალური უთანასწორობა გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე და უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ფიზიკურ თუ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, რაც საბოოლოოდ საზოგადოების ცხვროების დაბალი ხარისხის განმაპირობებელია.

უთანასწორობის უარყოფითი გავლენების გამო , დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცალ-ცალკე და ერთად იბრძვის უთანასწორობის შესამცირებლად. „ჩვენი მიზნებია ბოლო მოეღოს უკიდურეს სიღარიბეს და ხელი შეუწყოს საერთო კეთილდღეობას. საერთო კეთილდღეობის ხელშეწყობა ნიშნავს, რომ ჩვენ ვიმუშავებთ საზოგადოების 40 პროცენტის შემოსავლისა და კეთილდღეობის ამაღლების მიზნით, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, იქნება ეს უღარიბესითუ წარმატებული საშუალო ან მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნები“ (2)- ეს მსოფლიო ბანკის, უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაციის, უპირველესი მიზანია, რის მისაღწევადაც ისინი წევრ სახელმწიფოებთან ერთად მუშაობენ და ცდილობენ წლიდან წლამდე სიღარიბისა და უთანასწორონის მაჩვენებლები მინიმუმამდე დაიყვანონ.

სოციალური უთანასწორობა და შესაძლებლობების არათანაბარი განაწილება ადამიანთა შორის არის პრობლემა, რომელიც არსებობს ყველა ქვეყანაში, ეს იქნება

მდიდარი, ღარიბი თუ საშუალო განვითარების მქონე. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ყოველწლიურად, ადამიანის განვითარების ყველასთვის ცნობილ ინდექსთან (HDI) ერთად, 2010 წლიდან აქვეყნებს უთანასწორობაზე მორგებულ განვითარების ინდექსს(IHDI), რომელიც ნათლად ასახავს ადამიანური განვითარების მიღწევების განაწილებას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის და იმ დანაკარგებს, რომლებსაც უთანასწორობა ქმნის. ამ ინდექსის მონაცემები ცხადყოფს, რომ ყველაზე მაღალგანვითარებულ 10 საუკეთესო ქვეყანაშიც კი არის უთანასწორობის მწვავე პრობლემა (იხ. დანართი, ცხრილი №1) და არსებული კეთილდღეობის მაღალი დონე მოსახლეობაში არათანაბრადაა გადანაწილებული. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური განვითარება პირდაპირ არ გულისხმობს სოციალური უთანასწორობისა და სიღარიბის დაბალ დონეს. მეტიც სხვადასხვა ქვყნის მაგალითი ადასტურებს, რომ მაღალი უთანასწორობის ფონზე ისინი დროთა განმავლობაში ვეღარ ინარჩუნებენ ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ სტაბილურობას. ამიტომაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს გლობალური ეკონომიკის პრობლემა სწორედ ეკონომიკურ ზრდასა და უთანასწორობის გაღრმავებას შორის ოქროს შუელდის შენარჩუნებაა.

1.2. სოციალური უთანასწორობის შესწავლა და მისი გამომწვევი ძირითადი ფაქტორები

სოციალური უთანასწორობა საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი მახასიათებელია და შესაძლებლობას გვაძლევს კომპლექსურად შევისწავლოთ საზოგადოების ცხოვრების პირობები და განვითარების დონე. ამიტომაც იგი წარმოადგენს არამარტო ეკონომიკის, არამედ სოციალოგიის ინტერესის საგანს და ორივე მათგანი სხვადასხვა კუთხით განიხილავს უთანასწორობის ცნებას. სოციალური თვალსაზრისით უთანასწორობა მოიცავს სოციალურ უფლებებზე ადამიანთა ხელმისაწვდომობის ხარისხს(განათლება, ჯანდაცვა, სიტყვის თავისუფლება და სხვა) ეკონომიკური კუთხით

კი სოციალური უთანასწორობა დაკავშირებულია შემოსავლებისა და დოვლათის არათანაბარ განაწილებასთან. აღნიშნულ ნაშრომში ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელზე გავამახვილებთ ყურადღებას და ამ მხრივ განვიხილავთ სოციალური უთანასწორობის პრობლემას. ეკონომიკური უთანასწორობის სამი ტიპი არსებობს:

1. შემოსავლების უთანასწორობა ასახავს შემოსავლების განაწილებას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის. შემოსავლებში იგულისხმება ხელფასი და ყველა სხვა სახის შემოსავალი.

2. ანაზღაურების მიხედვით უთანასწორობა გულისხმობს ადამიანებს შორის განსხვავებას მათი შრომის ანაზრაურების მიხედვით, რაც დამოკიდებულია ბევრ სხვადასხვა ფაქტორზე: განათლების დონე, ტექნოლოგიური განვითარება და ა.შ.

3. სიმდიდრის უთანასწორობა მოიცავს ყველა იმ ფინანსური აქტივების ერთობლიობას, რომლებსაც ოჯახები ან ადამიანები ინდივიდუალურად ფლობენ. ანუ მატერიალური დოვლათის არათანაბარი განაწილება ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებს შორის.

სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა ყველაზე ხშირად სწორედ ამ ჩამოთვლილი ფაქტორების მიხედვით განიხილება. ისინი გვაძლევს უთანასწორობის ყველაზე ნათელ სურათს გლობალურ, ლოკალურ თუ ინდივიდუალურად ცალკეული ადამიანების დონეზე.

სოციალიური უთანასწორობა, როგორც აღვნიშნეთ მრავალმხრივი ცნებაა და შესაბამისასდ მისი გამომწვევი სხვადასხვა მიზეზი არსებობს. ეს მიზეზები ხშირ შემთხვევაში ურთიერთგანპირობებელი და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია. უთანასწორობას იწვევს, როგორც ეკონომიკური ფაქტორები ასევე ადამიანთა სოციალურ-კულტურული განსხვავებები. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

• უმუშევრობა ან დაბალი ანაზღაურება-უმუშევრობასთან ერთად დაბალანაზღა-ურებადი ან არასამიმედო სამუშოა გარემო მთავარი პრობლემაა, რადგანაც ადამიანებს არ აძლევს ღირსეული შემოსავლის მიღებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობას. გარკვეულწილად დაბალი ანაზღაურება უმუშევრობაზე დიდი

პრობლემაა, რადგანაც ადამიანს შეიძლება არ ქონდეს იგივე შეღავათები,რაც უმუშევარს აქვს.

- განათლება- თანამედროვე ტექნოლოგიურად განვითარებად პერიოდში კარგად ანაზღაურებადი სამუშაოს კარი ღიაა მათთვის ვისაც აქვს შესაბამისი ცოდნა და კვალიფიკაცია. განათლების ხელმისაწვდომობა აუცილებილია ადამიანთა პიროვნული განვითარებისა და ცხოვრების ადექვატური დონის უზრუნველსაყოფად.
- ოჯახის ზომა და ტიპი-მიიჩნევა, რომ მრავალშვილიან ან მარტოხელა მშობლების შვილებს უფრო მეტად ემუქრებად სიღარიბე, რადგანაც მათ აქვთ დაბალი შემოსავლები და უჭირთ კარგად ანაზრაურებად პოზიციებზე დასაქმება.
- გენდერული უთანასწორობა-მიუხედავად ცვლილებებისა სქესის ნიშნით უთანასწორობა გარკვეული დოზით ყველასაზოგადოებაში არსებობს. როგორც წესი ქალებს, უფრო დაბალი ანაზღაურება აქვთ ვიდრე იგივე პოზიციაზე დასაქმებულ მამაკაცებს, ხშირად უჭირთ სამსახურის პოვნაც კი, ამიტომაც ქალები უფრო მაღალი სიღარიბის საშიშროების ქვეშ არიან ვიდრე კაცები.
- მცირე ეთნიკური ჯგუფების წევრობა - ჩვეულებრივ ამ ჯგუფის წარმომადგენლები ყველაზე მეტად არიან უთანასწორობის მსხვერპლნი, რადგანაც ისინი ხშირად განიცდიან დისკრიმინაციასა და რასიზმს და ნაკლებად აქვთ დასაქმებისა და საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრების შესაძლებლობა.

სოციალური ან ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული უთანასწორობა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ხშირად ურთიერთგამომწვევიცაა. ასევე რამდენიმე ფაქტორის ერთდროული არსებობა ადამიანებს კიდევ უფრო მეტად არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს. მაგალითად ამერიკაში, შავკანიანი ოჯახები გაცილებით ნაკლებ ქონებას ფლობენ ვიდრე თეთრკანიანები, იგივე ტენდენციაა ეთნიკურად ესპანური ოჯახების შემთხვევაშიც და განსხვავება ამ ჯგუფებს შორის საკმაოდ დიდია. (იხ. დანართი, ცხრილი №1.1) ამგვარი უთანაბრობა კი ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად ცასლსახად ეთნიკური და რასობრივი ფაქტორებითაა განპირობებული.

უთანასწორობის გაზომვის სხვადასხვა გზა არსებობს. ის თუ რომელი საზომი გამოიყენება ანალიზისას დიდად არ ცვლის უთანასწორბის საბოლოო მნიშვნელობას. განვიხილოთ რამდენიმე ყველაზე ხშირად გამოყენებულიუ მაჩვენებლები:

1.ჯინის კოეფიციენტი ყველაზე ცნობილი და ხშირად გამოყენებადი ინდიკატორია უთანასწორობის შესასწავლად. „ჯინის კოეფიციენტი ასახავს დოვლათის განაწილების უთანაბრობას ქვეყანაში. იგი იტალიელმა სტატისტიკოსმა და დემოგრაფმა კორადო ჯინიმ შემოიტანა 1912 წელს. საზოგადოდ, ჯინის ინდექსი არის მაკროეკონომიკური, სტატისტიკური მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს რაიმე გამოსაკვლევი თვისების მიმართ საზოგადოების ფენებად დაშლის ხარისხს და წარმოადგენს ამ თვისების ფაქტიური განაწილების შეფარდებას აბსოლუტურად თანაბარ განაწილებასთან.

ჯინის კოეფიციენტი 2019 წელი

ცხრილი №2

ქვეყანა	ჯინის კოეფიციენტი
კოსტა რიკა	0.478
ჩილე	0.460
მექსიკა	0.458
ბულგარეთი	0.408
აშშ	0.390
დიდი ბრიტანეთი	0.366
ლიეტუა	0.361
ლატვია	0.351
რუმინეთი	0.350
ისრაელი	0.348

წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

კოეფიციენტის მნიშვნელობა 0 ნიშნავს, რომუთანაბრობაარარსებობს, ხოლო 1 - რომუთანაბრობამაქსიმალურია.„ **(თუთბერიძე, 2017:83)** ჯინის კოეფიციენტის უპირატე-სობაა ის, რომ იგი ზომავს უთანასწორობას მთელ საზოგადოებაში და არა უბრალოდ სხვადასხვა შემოსავლის მქონე ჯგუფებში. 2019 წელს ჯინის კოეფიციენტის მიხედვით ყველაზე თანასწორი ქვეყანა სლოვაკეთის რესპუბლიკა იყო (0.236), ყველაზე

უთანასწოროთა ათეულში კი არიან ისეთი ძლიერი და ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოები, როგორიცაა აშშ, დიდი ბრიტანეთი და ისრაელი. (იხ. ცხრილი №2)

2.თანაფარდობა სხვადასხვა შემოსავლის მქონე ჯგუფებს შორის გვიჩვენებს თუ რამდენად ნაწილდება შემოსავლები მათ შორის. მაგალითად ყველაზე ხშირად გამოიყენება თანაფარდობა 10:10, რომელიც გვიჩვენებს რამდენჯერ აღემატება მოსახლეობის ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე 10%-ის საშუალო შემოსავლები მოსხლეობის ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე 10%-ის შემოსავალს.

3.პალმას თანაფარდობა ჯინის ინდექსის ალტერნატივაა, თუმცა შედარებით ახალი ინდიკატორია (შემუშავებულია 2013 წელს) მაგრამ უკვე აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ უთანასწორობის კვლევაში. ის გვიჩვენებს თანაფარდობას მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიან 10 და დაბალშემოსავლიან 40 პროცენტს შორის. თანასწორ საზოგადოებაში ეს თანაფარდობა იქნება ერთი ან ნაკლები, რაც ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების ზედა 10% არ იღებს ეროვნული შემოსავლის უფრო მეტ წილს, ვიდრე ქვედა 40%.

ზემოთ განხილული მაჩვენებლები გამოიყენება იმისთვის, რომ შეფასდეს სოციალური უთანასწორობის ხარისხი ამა თუ იმ საზოგადოებაში და განისაზღვროს ის თუ უთანასწორო გარემომ რა ზეგავლენა მოხდინა მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე და მათი განვითარების შესაძლებლობებზე.

თავი II. მიგრაცია და საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის შეფასება

2.1.მიგრაციის არსი და ურბანიზაციის თანამედროვე პრობლემები საქართველოში

მიგრაცია არის ადამიანთა გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეში, მუდმივად ან დროებით დასახლების მიზნით. გადაადგილების მასშტაბიდან გამომდინარე მიგრაცია შეიძლება იყოს შიდა- ადამიანთა გადაადგილება ერთი ქვეყნის შიგნით და გარე-გადაადგილება სხვადასხვა ქვეყნებს შორის. ამასთანავე მიგრაციის უწყვეტი და დინამიური ბუნებიდან გამომდინარე, რთულია მისი სრულყოფილი აღრიცხვა. ეს განსაკუთრებით რთულია შიდა მიგრაციის შემთხვევაში, რადგანაც ოფიციალური სანდო ინფორმაცია კიდევ უფრო ცოტაა. თუმცა შესაბამის სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავებით შესაძლებელია არსებული მდგომარეობის ანალიზი. მოცემულ შემთხვევაში განვიხილავთ შიდა მიგრაციას.

უხსოვარი დროიდან მოყოლებული საზოგადოება მოძრაობდა, სხვადასხვა მიზეზთა გამო მუდმივად იცვლიდა დასახლების ადგილს.მიგრაცია არის იძულებითი, როცა ადამიანები გადაადგილდებიან ეკოლოგიური კატასტროფის ან საომარი მდგომარეობის გამო და ნებაყოფლობითი, როცა საცხოვრებლის ცვლილება ხდება უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური პირობების საძიებლად. თანამედროვე პერიოდში კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანთა გადაადგილება ბევრად უფრო მარტივია. მიმდინარე გლობალიზიაციის პროცესმა თითქოს მოშალა ქვეყნებს შორის საზღვრები და კიდევ უფრო აქტიური გახადა მიგრაციული პროცესები. აღნიშული მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების განსახლებაზე, ეთნიკურ შედგენილობაზე, ურბანიზაციის დონეზე და საბოლოო ჯამში მთლიანად შეიძლება შეცვალოს ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამ მრავალმხრივი გავლენიდან გამომდინარე შეუძლებელია მიგრაციის ცალსახად დადებითად ან უარყოფითად შეფასება .

მიგრაცია საქართველოს განვითარების ყველა ეტაპის თამდევი პროცესი იყო და დღესაც გრძელდება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მიმდინარე სოციალურ-

ეკონომიკურმა გარდაქმნებმა და არასტაბილურმა მდგომარეობამ გააქტიურო მოსახლეობის გადინება ქვეყნიდან. გარე მიგრაციული ნაკადების მზარდმა რაოდენობამ გამოიწვია შრომისუნარიანი, ძირითადად ახალგაზრდა მოსახლეობის გასვლა ქვეყნიდან, რაც უარყოფითად აისახა მოსახლეობის ასაკობრივ-რაოდენობრივ სტრუქტურაზე და მიუხედავად დადებითი ეფექტისა (მაგ:საერაშორისო ფულადი გზავნილების მზარდი მოცულობა) აღნიშნულმა ქვეყანას ბევრი სოციალური სახის პრობლემა შეუქმნა. ამგვარი ტენდენცია დღესაც გრძელდება და შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს აქვს მიგრაციაში ყოფნის გამოცდილება. საქართველო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით (ცხრილი №3) ქვეყანაში წლიდან წლამდე იზრდებოდა ემიგრანტთა რაოდენობა, თუმცა 2020 წელს აშკარა კლება შეინიშნება 74 264 მიგრანტი, რისი მიზეზიც რათქმაუნდა გლობალური კოვიდ პანდემიაა.

ემიგრანტთა რიცხოვნება 2013-2020 წწ.

ცხრილი №3

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
ემიგრანტთა რიცხოვნობა, კაცი	95 064	88 704	95 965	98 288	85 451	98 935	105 107	74 264

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გარე მიგრაციასთან ერთად საქართველოში ყოველთვის აქტუალური იყო შიდა მიგრაცია და მისით განპირობებული ურბანიზაციის პრობლემები. ზოგადად შიდა მიგრაციის ყველაზე გავრცელებული ფორმებია მოსახლეობის გადასვლა სოფლიდან სოფელში, სოფლიდან ქალაქში, პატარა ქალაქიდან უფრო დიდ ქალაქში და ქალაქიდან სოფელში, თუმცა ეს უკანასკნელი ნაკლებად გავრცელებული ფორმაა. ხშირ შემთხვევაში შიდა გადაადგილებები ჯაჭვური, თანმიმდევრული პროცესია, ასე მაგალითად: ადამიანი ჯერ გადადის სოფლიდან პატრა ქალაქში ან რაიონულ ცენტრში შემდეგ კი დიდ ქალქში, რაც საბოლო ჯამში იწვევს დიდ ქალქებში მოსახლეობის ზრდას.

შიდა მიგრაცია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებს თუ სოფელსა და ქალაქს შორის ბევრი სხვადახვა ფაქტორითაა განპირობებული. პირველრიგში უნდა აღვნიშნოთ იძულებით გადაადგილებული პირები. საქართველოში საომარი ვითრებისა და კონფლიქტების გამო იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა ორი დიდი ნაკადი. პირველი დაკაშირებულია 1991-1993 წლებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებულ კონფლიქტთან, რომლის გამოც დაახლოებიც 300 ათასმა ადამიანმა თავისი ნების საწინააღმდეგოდ დატოვა საცხოვრებელი ადგილი. დევნილთა მეორე ტალღა კი იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ, 100 ათასზე მეტმა ადამინმა დატოვა კომფლიქტის ზონა-ცხინვალი და მისი მეზობელი ტერიტორიები.

იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა წლების მიხედვით

დიაგრამა №1



წყარო: საქართველოს მიგრაციის 2019 წლის პროფილი

აფხაზეთის რეგიონიდან დევნილთა რაოდენობა თითქმის ათჯერ აღემატება ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობას. (დიაგრამა №1) ამ რეგონებიდან დევნილი მოსახლეობა ძრითად მცხეთა-მთიანეთში, შიდა ქართლსა და თბილისშია დასახლებული .

იძულებით გადაადგილებულ პირთა მეორე კატეგორიას წარმოადგენენ ე.წ. „ეკო-მიგრანტები“ , რომლებსაც საცხოვრებლის დატოვება მოუწიათ სტიქიური უბედურებით მიყენებული ზიანის გამო. ბოლო წლების განმავლობაშ ეკომიგრანტთა ყველაზე მეტი

რაოდენობა 2017 წელს იყო (დიაგრამა №2) ეკონმიგრანტები ძირითადად, მაღალმთიანი დსახლებების მაცხოვრებლები არიან. ყველაზე მეტი ეკომიგრანტი აჭარაში, გურიაში, იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში იყო რეგისტრირებული. იძულებოით გადაადგილებული პირების შემდგომი განსახლება ძირითადად ხდება იმავე ან მოსაზღვრე ტერიტორიებზე.

დარეგისტრირებულ და განსახლებულ ეკომიგრანტთა რაოდენობა წლების მიხედვით

დიაგრამა№2

	2015	2016	2017	2018
რეგისტრირებული	826	897	1,068	605
განსახლებული	140	484	290	338

წყარო: საქართველოს მიგრაციის 2019 წლის პროფილი

მოსახლობის ნებაყოფლობითი გადაადგილება ქვეყნის ერთი რეგიონიდან მეორეში შიდა მიგრაციის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა. მისი ძირითადი მიზეზი კი უკეთესი ცხოვრების პირობების ძიებაა. საქართველოს რეგიონები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან ბუნებრივი-კლიმატური პირობებით, ინფრასტრუქტურით და ეკონომიკური განვითარების დონით. ძირითადი რესურსი თავმოყრილია დიდ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში, რაც პირდაპირ აისახება ცალკეული ადამიანების ცხოვრების ხარისხსა და საყოფაცხოვრებო პირობებზე. უკეთესი პირობები საძიებლად ადამიანები იცვლიან სახხოვრებელს და ძირითადად გადადიან ქალაქებში, იქ სადაც ექნებათ განათლების, დასაქმებისა თუ თვითგანვითრების უკეთესი შესაძლებლობა. ქვეყნის რეგიონები ეკონომიკური აქტივობის მიხედვით საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან,(ცხრილი №4) როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა ძირითადად თავმოყრილია დედაქალაქსა და დიდი ქალაქების(ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი) მიმდებარე რეგიონებში. იგივე ტენდენციაა დასაქმების დონის შემთხვევაშიც. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცალკეულ რეგიონებში(გურია, სამცხე ჯავახეთი, ქვემო

ქართლი) მაღალია თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მოსახლობის ამ ნაწილს არ აქვს სტაბილური, ნორმალური შემოსავალი. ისინი ძირითადად სოფლის მეურნეობაზე არიან დამოკიდებულნი.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა რეგიონების მიხედვით 2020 წელი

ცხრილი№4

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	აჭარის ა.რ	სამეგრელო-ზემო სვანეთი	იმერეთი	სამცხე-ჯავახეთი	გურია	მცხეთა	რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი	საქარ ველ
სულ 15+ მოსახლეობა	**247.0**	**916.6**	**221.1**	**343.4**	**268.8**	**266.2**	**424.4**	**131.6**	**93.2**	**80.3**	**25.9**	**3018**
სამუშაო ძალა	122.2	492.4	105.8	172.2	155.1	127.6	179.2	71.7	48.0	38.8	10.8	1523
დასაქმებული	109.5	393.3	84.7	134.0	126.1	107.3	143.8	63.6	40.7	31.7	7.3	1241
დაქირავებული	57.1	339.7	53.1	77.9	79.7	60.6	103.4	26.8	19.0	21.8	6.3	845.
თვითდასაქმებული	52.4	53.4	31.3	56.0	46.4	46.7	40.3	36.8	21.7	9.9	1.1	395.
გაურკვეველი	0.0	0.2	0.2	0.0	0.1	0.0	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.7
უმუშევარი	12.7	99.2	21.1	38.2	29.0	20.3	35.4	8.2	7.4	7.1	3.4	281.
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	124.8	424.2	115.3	171.2	113.7	138.6	245.2	59.9	45.2	41.5	15.1	1494
უმუშევრობის დონე %	**10.4**	**20.1**	**20.0**	**22.2**	**18.7**	**15.9**	**19.8**	**11.4**	**15.4**	**18.3**	**31.9**	**18.5**
სამუშაო ძალის აქტიურობის დონე, %	**49.5**	**53.7**	**47.8**	**50.1**	**57.7**	**47.9**	**42.2**	**54.5**	**51.5**	**48.3**	**41.6**	**50.5**
დასაქმების დონე %	**44.3**	**42.9**	**38.3**	**39.0**	**46.9**	**40.3**	**33.9**	**48.3**	**43.6**	**39.5**	**28.3**	**41.1**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დაქირავებით დასაქმებულთა წილიც მთლიან სამუშაო ძალაში განსხვავებულია ცალკეული რეგონების მიხედვით. ყველაზე მეტი დაქირავებით დასაქმებული ქალაქებზე მოდის. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დიფერენცირებულია დასაქმებულთა შრომის ანაღზაურებაც.(ცხრილი №5) დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასები წლიდან წლამდე მზარდია, თუმცა სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობის შემოსავლები საკამაოდ არათანაბარია. მაგალითისთვის, დედაქალაქში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი თითქმის ორჯერ აღემატება გურიის, კახეთისა და რაჭა-

ლეჩხუმის დასაქმებულთა ხელფასებს. ასევე განსხვავებულია დედაქალაქსა და სხვა დიდ ქალაქებში დასაქმებულთ ანაზღაურებაც. ეს კი შემოსავლების მიხედვით საზოგადოების აშკარა დიფერენცირებაზე მიუთითებს.

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი რეგიონების მიხედვით (2013-2019 წ.წ)

ცხრილი№5

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
სულ	**773,1**	**818,0**	**900,4**	**940,0**	**999,1**	**1 068,3**	**1 129,5**
ქ. თბილისი	942,8	997,2	1 077,5	1 135,1	1 209,4	1 286,4	1 350,0
აჭარისა.რ.	586,0	641,0	770,5	794,0	808,2	866,6	952,9
გურია	350,7	391,8	515,4	493,3	547,1	600,5	617,7
იმერეთი	501,2	522,4	590,2	617,6	667,1	690,8	723,2
კახეთი	430,8	456,5	493,5	531,2	554,1	627,4	690,2
მცხეთა-მთიანეთი	658,2	685,2	737,9	765,9	795,0	818,1	901,9
რაჭა-ლეჩხუმიდაქვემოსვანეთი	366,4	393,6	435,1	453,9	483,8	495,0	556,9
სამეგრელო-ზემოსვანეთი	542,1	560,1	596,5	629,9	681,8	758,2	793,1
სამცხე-ჯავახეთი	501,9	507,8	524,3	578,3	611,1	640,5	711,6
ქვემოქართლი	637,5	644,9	707,2	711,1	754,2	791,4	851,4
შიდაქართლი	485,9	512,1	547,8	585,1	591,7	658,0	707,2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოცემული მონაცემებუდან ნათელია, რომ ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას არ აქვს განათლების, დასაქმებისა თუ საკუთარი თავის სრულფასოვანი რეალიზების თანაბარი შესაძლებლობა. თუ აღნიშნულ საკითხს სოფელ-ქალაქის ჭრილში განვიხილავთ პრობლემა გაცილებით მწვავედ დგას. ამ შემთხვევაში არსებულ უთანასწორობას აღრმავებს სოფლებში რთული კლიმატური პირობები, გლეხებისთვის არასაკმარისი მიწა, სოფლის მეურნეობის გარეთ სამუშაო ადგილების ნაკლებობა, სიღარიბე და სოციალური გარიყულობის მაღალი რისკი. სწორედ ამ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზთა გამო, უკეთესი ცხოვრების სურვილით დროებით წასული მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში აღარ უბრუნდება თავის საცხოვრებელ ადგილს, რის გამოც სასოფლო დასახლებებში მოსახლეობის რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება, ქალქებში კი პირიქით იზრდება. (ცხრილი №6)

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს საქალაქო დასახლებებში მოსახლეობის რაოდენობა ზრდის დინამიკით ხასიათდება. აღნიშნული პროცესი იწვევს საზოგადოების სოციალური და დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილებას, მოსახლეობის კონცენტრციას ერთ ტერიტორიაზე, რაც საბოლოო ჯამში ახდენს ეკონომიკური თუ სოციალური კეთილდღეობის არათანაბარ გადანაწილებას.

მოსახლეობის რიცხოვნება წლების მიხედვით 2019-2021 წ.წ.

ცხრილი №6

რეგიონი	2019			2020			2021		
	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება
საქართველო	3 723,5	2 184,3	1 539,1	3 716,9	2 194,5	1 522,4	3 728,6	2 215,6	1 512,9
თბილისი	1 171,1	1 140,7	30,4	1 184,8	1 154,3	30,5	1 202,7	1 172,0	30,7
აჭარის არ	349,0	197,7	151,4	351,9	200,6	151,3	354,9	203,5	151,4
გურია	109,4	31,4	78,0	108,1	31,2	76,9	107,1	31,2	76,0
იმერეთი	497,4	244,9	252,5	487,0	240,4	246,6	481,5	238,7	242,8
კახეთი	312,5	71,0	241,5	310,1	70,7	239,4	309,6	70,9	238,6
მცხეთა-მთიანეთი	93,6	22,1	71,6	93,3	22,3	71,0	93,4	22,6	70,8
რაჭა-ლეჩხუ-მი და ქვემო სვანეთი	29,7	6,8	22,9	29,1	6,8	22,3	28,5	6,7	21,8
სამეგრელო-ზემო სვანე-თი	316,2	125,0	191,2	311,1	123,4	187,7	308,4	122,8	185,6
სამცხე-ჯავახეთი	154,1	54,4	99,8	152,1	54,1	98,0	151,1	54,2	96,9
ქვემო ქართლი	433,2	188,4	244,7	434,2	189,7	244,5	437,3	192,3	245,0
შიდა ქართლი	257,3	101,9	155,4	255,1	101,0	154,2	254,1	100,6	153,4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა მიგრაციული პროცესების შედეგად ქვეყანაში იცვლება ურბანიზაციის დონე და სტრუქტურა.ურბანიზაცია არის პროცესი, რომლის დროსაც იზრდება საქალაქო დასახლებებში მოსახლეობის წილი ქვეყნის მთელ მოსახლეობასთან მიმართებაში. ურბანბიზაცია ყველა ქვეყანაში გარდაუვალი პროცესი და ერთ-ერთ მნიშვნელოვანი გამოწვევაა. დღეს მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი, დაახლოებით 55%სწორედ ქალაქებში ცხოვრობს. საქართველოში ჩატარებული ბოლო ორი აღწერის(2002, 2014)

შედეგების მიხედვით ქვეყანაში ურბანიზაციის დონე 52.3-დან 57.2-მდე გაიზარდა. თუ ამ მაჩვენებელს მსოფლიო დონესთან (55%) მიმართებაში განვიხილავთ აშკარაა, რომ ქვეყანაში ურბანიზაციის დონე საკმაოდ მაღალია. დღეს ეს მაჩვენებელი, მიუხედავად ოფიციალური მონაცემების არარსებობისა, შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ უფრო გაზრდილია, შიდა მიგრაციის მზარდი ტენდენციის გამო. დღეისათვის საქალაქო დასახლებებში ბევრად მეტი ადამიანი ცხოვრობს ვიდრე სოფლებში. ამსთანავე საქართველოს ურბანული განვითარებისთვის დამახასიათებელია პოლარიზების მაღალი ხარისხი, ანუ მოსახლეობის უმრავლესობა განაწილებულია ქვეყნის რამდენიმე ქვეყანაში ურბანიზაციის პროცესი ძირითადად სრულიად მოუმმზადებლად ხდება, რაც ბევრ სხვადასხვა სახის პრობლემას ქმნის, როგორიცა ქალქებში მოსახლეობის სიჭარბე, უმუშევრობის მაღალი დონე, სამუშაო ადგილების არასაკმარისი ოდენობის გამო, სოციალური დაძაბულობა და ა.შ. უკეთესი ცხოვრების საძიებლად ქალაქებში ქაოტურად ჩასახლებულ მოსახლეობას ხშირშემთხვევაში აქვს ჯანდაცვის სერვისებისა და განათლების ხელმიუწვდომლობის, ასევე საზოგადოების დანარჩენ ნაწილთან ინტეგრაციისა და გარიყულობის პრობლემა. ურბანიზაციის მთავარი უარყოფითი შედეგი კი არის ის, რომ გვჩება მოსახლეობისგან დაცლილი სოფლები, მიტოვებული სახლები და გაქრობის პირას მყოფი დასახლებები, რაც დღეს ქვეყნის ერთ ერთი უმთავრესი გამოწვევაა. სახელმწიფოს მოვალეობაა ქვეყნის მთელ მოსახლეობას შეუქმნას თანაბარი ცხოვრების პირობები, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა, რაც კონსტიტუციითაცაა დეკლარირებული. „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე.“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5)

სოფლებიდან მოსახლეობის გადინების უწყვეტი პროცესის შესაჩერებლად და იქ მცხოვრები მოსახლეობის პირობების გასაუნჯობესებლად სახლმწიფომ 2016 წლის 1 იანვრიდან მიიღო კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, რომლის მიხედვითაც ამ სტატუსის მქონე დასახლებებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობა სარგებლობს სხვადასხვა სოციალირი და ეკონომიკური შეღავათებით.(20%იანი დანამატი პენსიონერებს, სუბსიდია კომუნალურ გადასახადებზე, ახალშობილთა

დახმარება და ა.შ.) უახლესი მონაცემებით მაღალმთიანი სტატუსი მინიჭებული აქვს 1 737 დასახლებას და მთაში მუდმივად მცხოვრების სტატუსით სარგებლობს 250 000-მდე მოქალაქე. თუმცა ამ ციფრების მიუხედავად, ამ კანონის ზუსტი შედეგები ჯერ კიდევ უცნობია. დღემდე არ ვიცით რა ეფექტი იქონია ამ ცვლილებამ მთიან დასახლებებზე და როგორ აისახა იგი თითოეული იქ მაცხოვრებლის ცხოვრების ხარისხსა და სოციალურ მდგომარეობაზე. ოფიციალური მონაცემების მიხედვით მაღალმთიანი სტატუსის მიღების სურვილი წლიდან წლამდე უფრო მეტ ადამიანს აქვს, თუმცა , როგორც ზემოთ განხილული მონაცემებიდან ვნახეთ (ცხრილი №6) ამ ყველფერმა სასოფლო დასახლებებში მოსახლეობის რაოდენობის კლებას მაინც ვერ შეუშალა ხელი. მიუხედავად იმისა, რომ მთის კანონს არ მოყვა გარდამტეხი ცვლილებები, მაინც სახელმწიფოს ეს ნაბიჯი დადებითად შეიძლება შეფასდეს, რდგანაც მისით გათვალისწინებული სოციალური შეღავათები ვფიქრობ უმნიშვნელოვანესია მთაში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების რთული პირობების შესამსუბუქებლად.

2.2. საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და უთანასწორობის განმსაზღვრელი სოცილურ- ეკონომიკური მაჩვენებლების მიმოხილვა

მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის შესწავლა და ანალიზი დემოგრაფიული მაჩვენებლებით იწყება. დემოგრაფიული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე და პირიქით სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები მოქმედებს დემოგრაფიული მდომარეობაზე. დემოგრაფიული მდგომარეობის განსაზღვრისთვის გამოიყენება ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა მოსახლეობის რიცხოვნობა, შობადობისა და სიკვდილიანობის დონე, სქესობრივ-ასაკობრივი განაწილება, სიცოცხლის ხანგრძლივობა, მიგრაცია და სხვა. აღნიშნული ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ სახელმწიფომ სწორად შეაფასოს მოსახლეობის მდგომარეობა და გაუმკლავდეს მის ცვალებად მოთხოვნილებებს. აქედან გამომდინარე აუცილებელია დემოგრაფიული საკითხების განხილვა და იმ

მაჩვენებელთა ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენენ ქყვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო რამდენიმე წლის მონაცემების მიხედვით დინამიკაში მცირედი ცვლილებებით, კლებით ან მატებით ხასიათდება. როგორც დიაგრამიდან ჩანს 2014 წლამდე მოსახლეობის რიცხოვნება მუდმივად იკლებდა, (დიაგრამა №3) ამ წელს,, ჩატარებული აღწერის მონაცემებით დაფიქსირდა 3 713.8 ათასი მაცხოვრებელი.

2015 წლიდან კი უკვე ზრდის ტენდენცია შეინიშნება, რაც განაპირობა სახელწიფოს მიერ შობადობის ზრდის ხელისშემწყობი ღონისძიებების გატარებამ. მაგ:საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მშობიარობის დაფინანსება, მესამე და მომდევნო შვილების გაჩენის მატერიალური სტიმულირება, მაღალმთიან რეგიონებში ახალშობილთა დაფინანსება და ა.შ. თუმცა როგორც წინა თავში განხიული მონაცემებიდანაც ვნახეთ მოსახლეობის საერთო რაოდენობის ზრდა მაინც საქალაქო დასახლებების ხარჯზე ხდება, და სხვადასხვა ღონისძიებების მიუხედავად მოსახლეობა მაინც მიგრირებს სოფლებიდან ქალქებში. აღნიშნული პროცესი კი ცვლის ცალკეულ ტერიტორიაზე მოსახლეობის განსახლების სტრუქტურასა და რაოდენობას.

მოსახლეობის რიცხოვნობა 1994-2021 წწ, ათასი კაცი

დიაგრამა №3



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე შობადობის მაჩვენებელი, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ყველაზე მაღალი დაფიქსირდა 2016 წელს- 56 569. შემდეგ კლების ტენდენცია შეინიშნება და უკვე 2020 წლისთვის 46 520 შეადგინა. ამ წელს დაბადებულთა რაოდენობა ჩამორჩებება გარდაცვლილებს. (დიაგრამა №4) უარყოფითი სალდო, კი მოსახლეობის საერთო რაოდენობის კლებაზე მიუთითებს.

ახალშობილთა და გარდაცვლილთა რაოდენობა 2016-2020წწ.

დიაგრამა №4



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის სქესის მიხედვით განაწილებისას გვაქვს შემდეგი სურათი: 2020 წლის 1 იანვრის მონაცემებით მოსახლეობის 48%-ს მამაკაცები შეადგენენ, ხოლო ქალები 52%-ს. აქვე საინტერესოა ის ფაქტი,რომ ახალშობილებში ჭარბობს მარობითი სქესი.(დიაგრამა №5) მამრობითი სქესი მდედრობითს ჭარბობს 30-34 წლამდე, შემდეგ კი მდედრობითი სქესის წარმომადგენლები დომინირებენ. სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა საშუალებას გვაძლევს დავახასიათოს ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობა სქესისა და ასაკის მიხედვით. პირამიდის განიერი წვერო გვიშვენებს,რომ ქვეყანაში სიკვდილიანობის

კლება შეიმჩნევა, რაც თავის მხრივ სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას ნიშნავს.საქართველოში სიცოცხლის ხანგრძლივობა ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა.ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა 1994-2017 წლებში, 3,7 წლით 77.8 წლამდე, მამაკაცების კი, 3,2 წლით 69.2 წლამდე გაიზარდა.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის სქესის მიხედვით

დიაგრამა №5



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამის შესაბამისად იზრდება 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი მთლიან მოსახლეობაში.(დიაგრამა №6) 2018 წელს ეს მაჩვენებელი 14.6% იყო, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიხედვით კი 2030 წლისთვის იგი 21%-მდე გაიზრდება. სიცოცხლის ხანგრზლივობის ზრდასთან ერთად იზრდება საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხოვნებაც, რაც სახემწიფოსთვის დამატებით სოციალურ- ეკონომიკურ გამოწმევას წარმოადგენს და პირდაპირ აისახება საზოგადოების ცხოვრების პირობებზე. ამ ფონზე სახელმწიფოს სოციალური სტრატეგია, რომელიც მიმართულია ხანდაზმულთა დასაქმების შესაძლებლობების შეფასებაზე, მათი საჭიროებების ადეკვატური ჯანდაცვის სერვისების განვითარებაზე, საპენსიო ფონდის ზრდასა და დაგროვებითი სისტემი დანერგვაზე, დადებითად შეიძლება ჩაითვალოს. ყოველივე ამან

უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ამ მოწყვლადი ნაწილის სოციალური მდგომარეობის გაუნჯობესება და გათანაბრება სხვა დანარჩენთან.

65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში %

დიაგრამა №6.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხოვრების ხარისხის შესწავლისას მნიშვნელოვანია მოსახლეობის განათლების დონე. 2013 წელს საქსტატის მიერ გაეროს მოსახლეობის ფონდთან თანამშრომლობით ჩატარდა „ახალგაზრდების ეროვნული კვლევა“. კვლევის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ „საქართველოში 15 წლისდაუფროსიასაკისმოსახლეობისუმრავლესობას (41,5%), მათშორის 15-29 წლის ახალგაზრდების უმრავლესობას (40,0%) მიღებული აქვს მხოლოდ ზოგადი საშუალო განათლება. როგორცჩანს, პროფესიული განათლება შედარებით არაპოპულარულია ახალგაზრდებში; უმაღლესი განათლება მიღებული აქვს მთლიანად ახალგაზრდების 1/5-ზემეტს (21,6%), ხოლო პროფესიული განათლება – ახალგაზრდების 1/10-ზე ოდნავ მეტს (11,0%). განათლების მიღწეული დონე შედარებით მაღალია ქალაქში და ქალთა სქესის წამომადგენლებში. უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების 29,7%-ს, რაც 2,4-ჯერ აღემატება სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ანალოგიურ მაჩვენებელს (12,3%). იგივე მაჩვენებელი სქესის მიხედვით ასე ნაწილდება – უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ახალგაზრდა ქალების 22,7% და კაცების 20,4%-ს.“(გაეროს ბავშვთა ფონდი,37)

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია შეინიშნება. (ცხრილი №7.) თუმცა ამასთან ერთად მაღალია იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებმაც სხვადასხვა კლასებში შეწყვიტეს სწავლა. მაგალითად 2017-2018 სააწავლო წლის განმავლობაში სწავლა მიატოვა 12 000-ზე მეტმა მოსწავლემ. ეს განპირობებულია მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობით, სასწავლო ნივთების ხელმიუწვდომლობით, ადრეული ქორწინებით და სხვა მსგავსი ფაქტორებით. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, ამ შემთხვევაშიც სტუდენტთა რაოდენობა მზარდია. ასევე ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურია პროფესიული განათლება. სახელმწიფომ ამ მიმართულებით ბევრი ცვლილება განახორციელა, პროფესიული სასწავლებლები ძირითადად უფასოა, ამიტომაც სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ცდილობს სხვადასხვა პროფესიის დაუფლებას.

განათლება მნიშვნელოვანი ფაქტორია, მთლიანად საზოგადოების და თითოეული ინდივიდის პიროვნული და სოციალური განვითარებისთვის. ჩვენი განათლების დონე განსაზღვრავს იმას, თუ ვინ ვიქნებით მომავალში და როგორ პირობებში ვიცხოვრებთ. „როდესაც ადამიანებს მიუწვდებათ ხელი ხარისხიან განათლებაზე, მათ შეუძლიათ თავი დააღწიონ სიღარიბეს და შეამცირონ უთანასწორობა“ -ეს გაეროს ბავშთა ფონდის მთავრი სლოგანია, რითაც მოუწოდებს ქვეყანას ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობისკენ.

მოსახლეობის განათლების დონე 2013-2020წწ

ცხრილი №7

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
მოსწავლეთარიცხოვნობაზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულებებში, ათასი	553.0	554.0	553.9	564.7	575.2	584.4	592.9	609.1
სტუდენტთარიცხოვნობაუმაღლესსაგანმანათლებლოდაწესებულებებში,ათასი	117.7	124.2	132.9	140.3	3.8	147.7	148.8	157.3
დოქტორანტებისრაოდენობა, ერთეული	3 213	3 410	3765	4076	3 977	3 512	3 976	4010

შენიშვნა: ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

ქვეყანაში ცხოვრების ხარისხის დადგენის ერთ-ერთ ინდიკატორს შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზი წარმოადგენს. შინამეურნეობების შემოსავლები ბოლო წლების განმავლობაში მზარდი იყო. თუმცა, როგორც დიაგრამიდან ჩანს (დიაგრამა№7) შემოსავლები 2020 წელს შემცირდა ყველა კატეგორიაში, რაც რათქმაუნდა კოვიდ პანდემიასა და საერთო მსოფლიო კრიზისთანაა დაკავშირებული. შემოსავლების მოცულობაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს დაქირავებული შრომიდან მიღებულ ანაზრაურებას. 2020 წელს აღნიშნული ერთ სულზე გაანგარიშებით 133.3 ლარია იყო, რაც წინა წლებთან სედარებით შემცირებულია. ასევე შემცირდა საერთაშორისო ფულადი გზავნილებიც, (2019წ-13.4, 2020-10.9) რასაც შემოსავლის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი ეჭირა. უნდა აღვნიშნოთ , რომ ზრდა დაფიქსირდა მხოლოდ პენსიებისა და სოციალური დახმარებების კატეგორიაში, რაც ისევ და ისევ პანდემიით აიხსნება. შემოსავლის გარეშე დარჩენილი მოსახლეობის დასახმარებლად სახელმწიფომ გაზრარდა სხვადასხვა სახის დახმარებების მოცულობა.

დიაგრამა №7.



შენიშვნა: ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

შინამეურნეობების საშუალოთვიური ხარჯების მოცულობა წლების მიხედვით მზარდია და მცირედით ჩამორჩება შემოსავლების მოცულობას. ერთსულ მოსახლეზე გაანგარიშებული საშუალოთვიური ხარჯების სტრუქტურაში ყველაზე მეტი წილი უჭირავს სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე გაწეულ ხარჯებს.(დიაგრამა №8)

დიაგრამა №8



შენიშვნა: ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა პირდაპირ კავშირშია მოსახლების კეთიდღეობასთან. შემოსავლების მზრადი დონე სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანები უკეთ ცხოვრობენ. ამ შემთხვევაში გასათვალიწინებელია ის თუ რამდენად საკამრისია მიღებული შემოსავალი აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ნორმალური ცხოვრებისთვის. მოსახლეობა შემოსავლების ძირითად ნაწილს საკვებზე, ტანსაცმელზე და სხვა პირველად საჭიროებებზე ხარჯავს, რაც მათი მძიმე ცხოვრების პირობებზე მიუთითებს.

გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში არსებულ უთანასწორობას, იგივე მონაცემები მოსახლეობის გაცილებით უფრო რთულ მდგომარეობაზე მიუთითებს. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით გავიანგარიშოთ დიფერენციაციის დონე საქართველოში. დიფერენციაციის დონის განსაზღვრა ხდება

ხარჯების დეცილური ჯგუფების საფუძველზე. (ერთობლიობა გაყოფილია 10 ინტერვალად) შინამეურნეობების საშუალო თვიური სამომხმარებლო ხარჯები ერთ სულზე დეცილურ ჯგუფებში, წლების მიხედვით მოცემულია ცხრილი №8

ხარჯები ერთ სულზე დეცილურ ჯგუფებში 2013-2017

ცხრილი №8

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
2013	68.7	87.4	103.0	119.8	135.5	153.8	170.8	201.2	251.1	430.0
2014	73.9	97.4	111.1	126.0	140.3	161.6	184.6	219.7	264.7	450.8
2015	77.4	103.5	119.8	131.9	148.3	159.3	181.7	221.1	267.9	452.7
2016	81.0	108.7	117.7	131.9	147.4	167.2	191.6	225.3	286.6	488.0
2017	78.4	108.6	125.6	146.6	160.0	182.8	214.1	246.5	297.4	517.3

წყარო:საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოცემული მონაცემების საფუძველზე დიფერენციაცია შეგვიძლია განვსაზღვროთ დეცილური კოეფიციენტის საფუძველზე, რომელიც გაიანგარიშება მეცხრე რიგის დეცილის პირველი რიგის დეცილთან თანაფარდობით: $K = \frac{d_9}{d_1}$.ამ ფორმულის მიხედვით, გამოვთვალოთ კოეფიციენტი თითოეული წლისთვის.

2013 წელი-$K = \frac{251.1}{68.7} = 3.65$

2014 წელი-$K = \frac{264.7}{73.9} = 3.58$

2015 წელი-$K = \frac{267.9}{77.4} = 3.46$

2016 წელი-$K = \frac{286.6}{81.0} = 3.53$

2017 წელი-$K = \frac{297.4}{78.4} = 3.79$

მიღებული შედეგები საზოგადოების სხვადსხვა ფენას შორის დიფერენციის მაღალ დონესა და დინამიკაში ზრდაზე მეტყველებს.

დიფერენციაციის დონის განსაზღვრისთვის ასევე შეგვიძლია გავიანგარიშოთ ფონდების კოეფიციენტი შემდეგი ფორმულის გამოყენებით: $K = \frac{L_{10}}{L_1}$.

2013 წელი-$K = \frac{430.0}{68.7} = 6.25$

2014 წელი-$K = \frac{450.8}{73.9} = 6.1$

2015 წელი-$K = \frac{452.7}{77.4} = 5.84$

2016 წელი- $K = \frac{488.0}{81.0} = 6.02$

2017 წელი- $K = \frac{517.3}{78.4} = 6.59$

ეს კოეფიციენტი უჩვენებს თუ, როგორ განსხვავდება საშუალო ხარჯები ყველაზე მდიდარ და ღარიბ მოსახლეობას შორის. მიღებული გაანგარიშებებიდან კი ჩანს, რომ განსხვავება მართლაც მაღალია და დინამიკაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. საბოლოოდ, მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის უთანასწორობა მაღალია და არსებული დიფერენციაცია ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რადგანაც იგი უარყოფით გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

სოციალური უთანასწორობის მთავარი ინდიკატორი, როგორც აღვნიშნეთ ჯინის კოეფიციენტია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გვთავაზობს სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით გაანგარიშებულ ჯინის კოეფიციენტს.(ცხრილი №9) იგი წლების მიხედვით მცირედი ცვლილებებით კლებით ან მატებით ხასიათდება. ყველაზე მაღალი უთანასწორობა კი ხარჯების მიხედვით ფიქსირდება.

ჯინის კოეფიციენტი 2011-2020 წწ.

დიაგრამა №8

	მთლიანი შემოსავლების მიხედვით	მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით	მთლიანი სახსრების მიხედვით	მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით	მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით	მთლიანი ხარჯების მიხედვით
2011	0,43	0,49	0,46	0,42	0,49	0,46
2012	0,42	0,47	0,44	0,41	0,48	0,44
2013	0,40	0,43	0,41	0,39	0,45	0,42
2014	0,40	0,43	0,41	0,39	0,47	0,44
2015	0,40	0,43	0,41	0,38	0,45	0,43
2016	0,40	0,43	0,41	0,39	0,46	0,43
2017	0,41	0,45	0,43	0,40	0,47	0,45
2018	0,39	0,42	0,40	0,37	0,44	0,42
2019	0,39	0,42	0,40	0,37	0,44	0,43
2020	0,37	0,39	0,37	0,36	0,42	0,41

წყარო:საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ჯინის ინდექსის მსოფლიო რეიტინგში 2017 წლის მონაცემების მიხედვით საქართველო 75 ადგილზე, 37,9 პროცენტიანი მაჩვენებლით და ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს როგორიცაა ლიტვა, რუსეთი , ბულგარეთი, საბერძნეთი და ა.შ. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით 2019 წელს ჯინის კოეფიციენტი ქვეყანაში 35,9 იყო, (დიაგრამა №9) რაც წინაწლებთან შედარებით შემცირებული მაჩვენებელია.

ჯინის კოეფიციენტი 2013-2019 წწ

დიაგრამა №9



შენიშვნა: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით

განხილული მაჩვენებლების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო წლებში ქვეყანაში ბევრი რამ უკეთესობისაკენ შეიცვალა. სოციალურ და ეკონომიკური მიმართულებით არსებული პროგრესი თვალსაჩინოა. თუმცა მიუხედავად ამისა ჩვენი ქვეყნისთვის მთავარი პრობლემა კვლავ სიღარიბე, უმუშევრობა და საზოგადოებაში არსებული უთანასწორობაა. ეკონომიკური განვიტარების მთავარი შედეგი უნდა იყოს, ის, რომ თითოეულმა ადამიანმა იგრძნოს ცხოვრების პირობების გაუნჯობესბა და ყველას თანბაბრად მიეცეს თვითრეალიზაციისა და საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის შესაძლებლობა.

თავი III. სოციალური უთანასწორობის სრულყოფისა და მიგრაციის შეჩერების მიმართულებები

3.1. სოციალური უთანასწორობის გაღრმავება კოვიდ-პანდემიის პირობებში

2019 წლის შემოდგომაზე ჩინეთში გავრცელებული კორონავირუსი მალევე იქცა მსოფიო პანდემიად. იგი მალევე გავრცელდა და თითქოს შეაჩერა სწრაფად განვითარებადი მსოფლიო. პანდემია შეეხო ყველა სფეროს პირველ რიგში ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, ეკონომიკას, კულტურას, სოციალურ მდომარეობას და ა.შ. და ცალსახად უარყოფითი გავლენა მოხდინა. კორონავირუსი რთული გამოწმევაა მთელი მსოფლიოსთვის, როგორც ჯანდაცვის, ასევე ეკონომიკური განვითარების კუთხითაც, რამაც არანაკლები პრობლემები შექმნა. რა ზეგავლენა შეიძლება იქონიას ამ ყველაფერმა საბოლოოდ, ამის განსაზღვრა და პროგნოზირება ჯერ კიდევ რთულია. აზიის განვითარების ბანკის პროგნოზით 77$ მილიარდიდან 347$ მილიარდამდე დააზიანებს პანდემია მსოფლიო ეკონომიკას და მანამდე არსებულ ნიშნულთან დაბრუნებას ყველა ქვეყანაში მნიშვნელოვანი ძალისხმევა და დრო დასჭირდება.

უახლესი მონაცემების მიხედვით საქართველოში კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევა 367 058, მათ შორის გარდაცვლილი კი 5 327 ადამიანია. ეს პანდემიის შედეგებია ჯანდაცვის კუთხით, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით კი კორონავირუსის გავლენის შეფასება რთული და მრავალმხრივი პროცესია. ფასების ზრდა, სიღარიბის დონის მატება, ცხოვრების პირობების გაუარესება ეს ისაა, რაც თითოეულმა მოქალაქემ იგრძნო თვის თავზე პანდემიის ჩვენს ქვეყანაში დაწყებისთანავე. კორონავირუსის გავლენის შესაფასებლად განვიხილოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი.

პანდემიის დასაწყისშივე ქვეყანამ აირჩია ვირუსთან ბრძოლის მკაცრი ზომები, თითქმის სრულად ჩაიკეტა ყველა სფერო, რამაც იმ ეტაპზე ნამდვილად შეაჩერა ინფექციის გავრცელება, თუმცა მეორე მხრივ ეკონომიკური ზიანი საკმაოდ დიდი იყო. როგორც დიაგრამის მონაცემებიდან ჩანს (დიაგრამა №10)ბოლო წლების განმავლობაში

ეკონომიკაწლიდან წლამდე სტაბილურად იზრდებოდა. 2020 წელს კი ეკონომიკური - 6.2% იყო, რაც უკავშირდება ეკონომიკური აქტივობის შემცირებას კორონავირუსის გავრცელების გამო.

მშპ და ეკონომიკური ზრდა

დიგარამა №10



წყარო:საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველო, როგორც ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, რომელიც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უცხოურ ინვესტიციებზე, საერთაშორისო ტურიზმზე და ფულად გზავნილებზე, განსაკუთრებით მგრძნობიარე აღმოჩნდა პანდეემიით გამოწვეული მსოფლიო კრიზისის მიმართ. საერთაშორისო ფულად გზავნილები მშპ-ს 13.5%-ს შეადგენს და მოსახლეობის შემოსავლების ერთერთი ძირითადი წყაროა. ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით 2020 წლისაპრილში, 2019 წლისანალოგიურ პერიოდთანშედარებით ფულადი გზავნილების, კლებამ43% შეადგინა.ჯამურიმოცულობა კიწინაწელთანშედარებით, 58 მილიონიაშშ დოლარითნაკლები იყო. ამ ყველაფერმა რთულ მდომარეობაში ჩააყენა ათასობით ემიგრანტის ოჯახი, რომელთა ერთადერთი შემოსავალი სწორედ საზღვარგარეთიდან მიღებული თანხები იყო.

პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა და სხვადასხვა ბიზნეს საქმიანობების შეჩერებამ უამრავი ადამიანი სამსახურის გარეშე დატოვო, როგორც

დროებით, ასევე გრძელვადიანად გაურკვეველი ვადით. დღესაც ეკონომიკის ე.წ. გახსნის მიუხედავად ბევრმა დასაქმებულმა თავისი სამუშაო ადგილი ვეღარ დაიბრუნა. უმუშევრობის ზრდა ოფიციალური ციფრების გარეშეც ნათელი და შესამჩნევია ყველასთვის. საქსტატის მონაცემების მიხედვით (დიაგრამა)პანდემიის დაწყების შემდეგ უმუშევრობის დონე ქყვეყანაში თითქმის ორი პროცენული პუნქტით გაიზარდა და 2021 წლის პირველ კვარტალში ყველაზე მაღალი 21.9% შეადგინა.

უმუშევრობის დონე - % მნიშვნელობით

დიგარამა №11



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ასევე თუ გავითვალისწინებთ, იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში ბევრი თვითდასაქმებული, ყოველდღიურ შემოსავალზე დამოკიდებული პირია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ მხრივ მდგომარეობა გაცილებით უფრო რთულია და ვირუსით გამოწვეული კრიზისის გამო გაცილებით მეტი ადამიანი დარჩა საარსებო შემოსავლის გარეშე. თუ პანდემიამდე საშუალო თვიური შემოსავლები ყოველწლიურად მცირედით, მაგრამ მაინც იზრდებოდა, (დიაგრამა№12) 2020წელს, ბოლო ათწლეულის განმავლობაში პირველად კლება დაფიქსირდა და თვიურმა შემოსავალმა ერთ ადამიანზე 321.4 ლარი შეადგინა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, ის რომ სახელმწიფომ სამსახურისა და შემოსავლის გარეშე დარჩენილი ადამიანებისთვის მიზნობრივი სოციალური დახმარების პაკეტი შეიმუშავა- ყო-

ველთვიური 200 ლარი ოფიციალურად დასაქმებულებისთვის და ერთჯერადი 300 ლარი თვითდასაქმებულთათვის. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საარსებო მინიმუმი დღეს 205.6 ლარია (2021 წლის მაისის თვე) ეს დახმარება, სამწუხაროდ პირველადი საჭიროებებისთვისაც კი არასაკმარისია.

საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ სულზე წლების მიხედვით, ლარი

დიგარამა №12



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზემოთ განხილული მაჩვენებლების მიხედვით ნათელია, რომ კოვიდპანდემიამ ქვეყანაშ მძიმე სოციალური პრობლემები შექმნა და ისედაც არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ადამიანები კიდევ უფრო მეტი გასაჭირის წინაშე დააყენა. 2020 წლის მონაცემებით მოსახლეობის 21.3% სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით იმყოფება, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (2019 წელი-19.5%) 1.8 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია. ამ ყველაფერმა თავის მხრივ კიდევ უფრო გააღრმავა საზოგადოებაში არსებული სოციალური უთანასწორობა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პანდემიის გავლენით ღარიბი მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად გაღარიბდა, საშუალო ფენა კი ღარიბად იქცა.

3.2.საქართველოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და უთანასწორობის შეფასება კვლევის საფუძველზე

სოციალური უთანასწორობა, როგორც აღვნიშნეთ მრავალმხრივი ცნებაა და მისი შესწავლაც მოითხოვს საკითხის ყოველმხრივ განხილვას. გარდა იმ ობიექტურად არსებული სტატისტიკური მონაცემებისა, რაც წინა თავებში განვიხილეთ, არსებობს სუბიექტური შეფასება ანუ ის თუ, როგორ აღიქვამს თითოეული ჩვენგანი გარემოს, რომელშიც ვცხოვრობთ. აღნიშნული გვეხმარება არსებული მდგომარეობის უფრო რეალური სურათის წარმოჩენაში.

ამგვარი სუბიექტური შეფასების საფუძველს წარმოადგენს სოციოლოგიური გამოკითხვებით მიღებული შედეგები. ამ დროს რესპოდენტი ახდენს თავისი ცხოვრების პირობების შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების მიხედვით. ჩემი კვლევის ფარგლებში სპეციალურად შედგენილი კითხვარების გამოყენებით, მოხდა ონლაინ გამოკითხვის ჩატარება. კვლევაში მონაწილეობა მიიღო შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე შერჩეულმა 105 რესპოდენტმა, კვლევის პერიოდია ერთი თვე. კვლევაში გამოყენებულია 12 კითხვა.(კითხვარი იხილეთ დანართში)

კვლევას მონაწილე რესპოდენტების 66.7% მდედრობითი სქესისაა, 33,3% კი მამრობითი.(იხ.დანართი დიაგრამა №13)

ასაკის მიხედვით განაწილებისას, გვაქვს შემდეგი სურათი: გამოკითხულთა 36.2% 15-25 წლამდეა, 30.5% 26-40 წლამდე, 29.5% 41-64 წლამდე, დანარჩენი კი 65 და მეტი წლისაა. (იხ.დანართი დიაგრამა №14)

განათლების დონის მიხედვით გვაქვს შემდეგი მდგომარეობა:(იხ. დიაგრამა 15) 61%-ს აქვს უმაღლესი განათლება, 22.9%-ს ზოგადი განათლება, 14.3% პროფესიული, დანარჩენს კი მიღებული აქვს მხოლოდ სკოლამდელი განათლება. აღნიშულ მონეცემებს თუ დავაკვირდებით ინდივიდუალური პასუხების დონეზე, ჩანს, რომ ძირითადად ქალქში მცხოვრებ რესპოდენტებს აქვთ უმაღლესი განათლება, სოფლის მაცხოვრებლების დიდ ნაწილს კი საშუალო ან ზოგადი განათლება. აღნიშნული შედეგი იმეორებს იგივე ტენდენციას, რაც ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებშიც გვქონდა

და კიდევბ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ სხვადასხვა ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს არ აქვთ განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა.

დიაგრამა №15



შენიშვნა: დიაგრამა ავტორისეულია, აგებულია კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით

გამოკითხულთა 76.2% დასაქმებულია, 23.8% კი არა.(იხ.დანართი დიაგრამა №16) უმუშევრობის ეს მაჩვენებელია, მაღალია საქსტატის მონაცემებთან შედარებით, ამ წლის პირველი კვარტლის მონაცემებით უმუშევრობის დონე21.9%. ეს განსხვავება განპირობებულია მონაცემთა დათვლის მეთოდოლოგიასა და სუბიექტურ აღქმას შორის არსებული განსხვავებებით.

საშუალოთვიური შემოსავლის მიხედვით გვაქვს საკმაოდ დიფერენცირებული განაწილება. ის ფაქტი, რომ 14.3%-ს 100 ლარამდე ანაზღაურება აქვს, ანუ საარსებო მინიმუმზე ბევრად ნაკლები , ხოლო გამოკითხულთა ნახევარზე მეტის ანაზღაურება კი საშულო ხელფასზე (2021 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით 1256.2 ლარი) ბევრად ნაკლებია, მიუთითებს აშკარა უთანაბრობაზე და შემოსავლების არასაკმარის მოცულობაზე. (დიაგრამა №17) 38.1 % თვლის, რომ მუშაობს მისი პროფესიით, 61.9% აზრით კი მისი სამუშაო არ შეესაბამება მისივე პროფესიას. (იხ.დანართი, დიაგრამა №18) გამოკითხულთა უმრავლესობა 72.6% თვლის, რომ მისი შემოსავალი არ არის საკმარისი საკუთარი თავის/ოჯახის მინიმალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. 27.6%-ს კი მიღებული შემოსავალი საკმარისად მიაჩნია.

დიაგრამა №17



შენიშვნა: დიაგრამა ავტორისეულია, აგებულია კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით

რესპოდენტთა 26.7% თვლის რომ ღარიბია, 66.7% თავს საშუალო ფენას მიაკუთვნებს, დანარჩენი კი შეძლებულ ან მდიდარ ფენას.(დიაგრამა №19)

დიაგრამა №19



შენიშვნა: დიაგრამა ავტორისეულია, აგებულია კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით

გამოკითხულთა 60% ქალაქში ცხოვრობს, 40% კი სოფელში/რეგიონში. (იხ.დან.დიაგრამა №20) მათგან 30.5%-ს ბოლო 12 თვის განმავლობაში მოუწია სხვაგან ცხოვრება, 69.5%-ს საცხოვრებელი არ შეუცვლია. (იხ.დან.დიაგრამა №21) საცხოვრებლის შეცვლის ძირითადი მიზეზებია სამუშაოს ძიება (38.2%), განათლების მიღება (12.7%), დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილი (12.7%) და სხვა (29.1%) (იხ.დან.დიაგრამა №22)

ასევე ცალკეული პასუხებიდან, ჩანს რომ ძირითადად სოფელში მცხოვრებლები იცვლიან საცხოვრებელს, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ ცხოვრების რთული პირობები და განვითარების ნაკლები შესაძლებლობ აიძულებს მათ გადავიდნენ სხვაგან. საბოლოოდ, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი 55.2 % თვლის, რომ სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობას არ აქვს თანაბარი ცხოვრების პირობები და თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. (იხ. დანართი, დიაგრამა №22) შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამგვარი დამოკიდებულება, მანამდე განხილული მონაცემების მიხედვით, აბსოლუტურად შეესაბამება არსებულ რეალობას.

საბოლოოდ, მიღებულ შედეგებს თუ გაავაანალიზებთ წინა თავებში განხილულ ობიექტურ მაჩვენებლებთან ერთად ნათელია, რომ მათ შორის გარკვეული შეუსაბამობები არსებობს. მიუხედავათ იმისა, რომ ბოლო წლებში ბევრი რამ უკეთესობისაკენ იცვლებოდა მაინც აშკარაა, რომ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა (რაც დადასტურდა ჩემი კვლევით) პანდემიით გამოწვეულმა პრობლემებმა კი მდგომარეობა კიდევ უფორ გაამწვაა.

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუნჯობესება და არსებული უთანასწორობის აღმოფხვრა სახელმწიფოს პირდაპირი პასუხისმგებლობაა. „სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე“ - საქართველოს კონსტიტუცია მუხლი მეხუთე. აქედან გამომდინარე აუცილებელია სახელმწიფოს განვითარების სტრატეგია და თითოელი რეფორმა გატარდეს ისე, რომ მან ასახვა ჰპოვოს მთლიანი საზოგადოების კეთილდღეობაზე და არა მარტო რომელიმე კონკრეტული ჯგუფის.

დასკვნა

განხილული მასალიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რომ, სოციალური უთანასწორობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები დღეს საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. სხვადასხვას მონაცემებმა ცხადყო, რომ ქვეყნის მოსახლეობას, არ აქვს თანაბარ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობა. ეკონომიკური ზრდისა და განვითარების შედეგად მიღებული სიკეთე ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის. სახელმწიფოს მთავარი ამოცანა კი სწორედ ესაა, რომ ქვეყნის პროგრესი თანაბრად იგრძნოს თითოეულმა მოქალაქემ.

უთანასწორიბისა და მასთან დაკავშირებული შიდა მიგრაციის კვლევისა და თერიული საკითხების შესწავლის შედეგად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახის დასკვნები:

1. ნაშრომში განხილულია სოციალური უთანასწორობის ცნება და მისი შესწავლის მიდგომები, საერთაშორისო დონეზე აპრობირებული და გამოყენებადი ინდექსები და მაჩვენებლები, რომელთა გათვალისწინება და ქართულ პრაქტიკაში დანერგვა მნიშვნელოვანი იქნება არსებული სოციალური მდგომარეობის შესაფასებლად.

2. შიდა მიგრაცია საქართველოს განვითარების ყველა საფეხურის თანმდევი პროცესია, რისი გამომწვევიც ძირითად შემთხვევაში სწორედ სოციალური უთანასწორობა და დიფერენცირებული გარემო პირობებია. ამ შემთხვევაში მთავარი უარყოფითი შედეგი არის, ქალაქების მოსახლეობის მუდმივი ზრდა, რაც ყოველგვარი ინფრასტრუქტურული თუ ეკონომიკური მომზადების გარეშე ხდება. ხშირ შემხვევაში რთულ პირობებს გაქცეული ადამიანები ქალაქში ვერ პოულობენ სამსახურს, უჭირთ ადაპტაცია ახალ გარემოსთან და კიდევ უფრო რთულ მადომარეობაში ვარდებიან.

3. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურაში წლიდან წლამდე იზრდებოდა ფულადი შემოსავლების წილი, რაც ძირითადად დაქირავებით დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯზე იყო. 2020 წელს

შემოსავლებში კლება შეინიშნა, რაც როგორც ბევრჯერ აღვნიშნე პანდემიით გამოწვეული კრიზისითაა განპირობებული.

4. მოსახლეობის ხარჯების სტრუქტურა ნათლად ასახავს რთულ სოციალურ პირობებს. ის ფაქტი, რომ ხარჯები ძირითდად საკვებზე და სხვა პირველად საჭიროებებზეა მიმართული, ცხოვრების დაბალი ხარისხის მაჩვენებელია. მოსახლეობას არ აქვს დასვენების, გართობისა და სხვა კულტურულ ღონისძიებებში ჩართვის შესაძლებლობა, რაც ცალკეული ინდივიდის და მთლიანად საზოგადოების პროგრესის მთავარი ნიშანია.

5. დეცილური კოეფიციენტისა და ფონდების კოეფიციენტის გაანგარიშებამ დაადასტურა, რომ ქვეყანაში უთანასწორობა საკმაოდ მაღალია და ზრდის ტენდენციით ხასიათდება. რაც გავლენას ახდენს მოსახლეობას შორის კეთილდღეობის გადანაწილებაზე და უარყოფითად აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზე.

6. კოვიდპანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყნის განვითარებაზე და ყველა მხრივ შეაფერხა იგი, განსაკუთრებული ზიანი მიადგა ეკონომიკას. წლების განმავლობაში მზარდი ეკონომიკა ერთბაშად გაჩერდა და ძველ ნისნულს დაბრუნნებას დიდი ზალისხმევა და დრო დასჭირდება, აღნიშნულმა კრიზისმა მძიმე სოციალური პრობლემები შექმნა მოსახლეობა. უმუშევრობის ზრდა, შემოსავლების შემცირება და სიღარიბე თითოეულმა მოქალაქემ პანდემიის დასაწყისშივე იგრძნო თავის თავზე.

7. ჩემი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსახლეობის შემოსავლებს შორის დიფერენციაცის დონე მაღალია და დასაქმებულთა დიდ ნაწილს დაბალი ანაზღაურება აქვს, რაც მინიმალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაც კი არ არის საკმარისი. მიუხედავად კვლევის მცირე მასშტაბებისა შეიძლება ვთქვათ, რომ მიღებული შედეგები რეალურთან მიახლოებულია. აღნიშნულს ადასტურებს ნაშრომში გაანგარიშებული დიფერენციაციის კოეფიციენტები და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები.

8. შემოსავლებისა და ცხოვრების პირობების დიფერენციაცია განსაკუთრებით მძაფრია სოფელსა და ქალაქს შორის. სოფლის მოსახლეობას ქალქთან შედარებით დაბალი შემოსავლები აქვს, არადა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ სოფლის მეურნეობის სექტორიშია დასაქმებული ეს პირიქით უნდა იყოს. ამგვარი ტენდენცია მიუთითებს სოფლის მეურნეობის არაეფექტურობასა და დაბალპროდუქტიულობაზე. ვფიქრობ, პრობლემის მოგვარება სახელმწიფომ სწორედ აქედან უნდა დაიწყოს. განვითარებული სოფლის მეურნეობის სექტორი უზრუნველყოფს იქ მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და სოფლიდან ქალქში მიგრაციის შეჩერებას.

საბოლოოდ ნათელია, რომ სოციალური უთანასწორობა და მიგრაცია დღეს ჩვენი ქვეყნის მთავარი გამოწვევაა, რაც კიდევ უფრო ცხადად გვაჩვენა კოვიდ პანდემიის შედეგად მიღებულმა კრიზისმა. აღნიშნულ პრობლემასთან გასამკლავებლად აუცილებელია, სახელმწიფოს მიზანმიმართული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და მეტი აქცენტირება თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გავარდაშვილი ნ.-„ მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის კვლევის ახალი მეთოდების შემუშავება“(სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე) თბილისი 2013.
2. გელაშვილი ს.-„სოციალური სტატისტიკა“ თბილისი 2013.
3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი-„სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2“ ლექციების მოკლე კურსი, თბილისი 2017.
4. მაკალათია ი. საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური კვლევა(სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი 2014.
5. მარშავა ქ.-„საერთასორისო ურთიერთობების სტატისტიკა“ (ლექციების კურსი)
6. რობიტაშვილი ნ.-„მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის სტატისტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში“ ბათუმი 2012.
7. თუთბერიძე გ, „საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოთვლის თეორიული საფუძვლები“ საერთასორისო სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი- გლობალიზაცია და ბიზნესი №3, თბილისი 2017.
8. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2020, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოძიებულია 19.05. https://www.geostat.ge/ka/single-archive/3351#
9. საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი, მიგრაციის საკითხა სამთავრობო კომისია, მოძიებულია 25.05. https://www.google.com/url?sa=t&source=web&rct=j&url=https://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf&ved=2ahUKEwj7j52ujNvxAhWUu6QKHQAZAX0QFjAAegQIAxAC&usg=AOvVaw2y3Ienn5vv29qP1VYovTkX
10. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოძიებულია 01.06.https://www.google.com/url?sa=t&source=web&rct=j&url=http://census.ge/files/results/Census%2520Release_GEO.pdf&ved=2ahUKEwjB7Nf6jNvxAhVuwAIHHctNCr4QFjAEegQICRAC&usg=AOvVaw2UngpNDNLLHibotNLVSymT
11. საქართველოს მაღალმთიანი დასახლების განვითარების სტრატეგია 2019-2023 წ.წ. (პროექტი).მოძიებულია 05.06 https://www.google.com/url?sa=t&source=web&rct=j&url=https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/2303&ved=2ahUKEwipuO65jdvxAhULzqQKHVNjAlMQFjAMegQIBxAC&usg=AOvVaw3r5WzYrTW9eqCFwvXfTxzK

12. საქართველოს რეგიონული და ინფრასტრუქტურული განვითარების სამინისტრო, მთის სტატუსი კიდევ 59 სოფელს მიენიჭა, მოძიებულია 10.06.2021https://mrdi.gov.ge/ka/press-center/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20&%20%E1%83%A6%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%95-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A1.html?fbclid=IwAR0yiH89G6jK1U-HlgBHmOW2bnvvBpyktYXIjsDNouNvv6UMgHktJZ4LThg

13. საქართველოს კონსტიტუცია, კონსოლიდირებული ვერსია 29.06.2020. მოძიებულია 11.06. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

14. მსოფლიობანკი : https://www.worldbank.org/en/topic/isp/overview

15. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკური ზრდა. მოძიებულია 25.06. https://mof.ge/mshp_ekonomikuri_zrda

16. ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში, ეკონომიკურ სტატისტიკური კვლევა, თბილისი 2017. მოძიებულია 25.06. https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13977.pdf

17. ფულადი გზავნილების წლიური ზრდის ტემპი, საქართველოს ეროვნული ბანკი. მოძიებულია 30.05. https://analytics.nbg.gov.ge/views/_15/sheet1?iframeSizedToWindow=true&%3Aembed=y&%3AshowAppBanner=false&%3Adisplay_count=no&%3AshowVizHome=no

18. ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში. მოძიებულია 30.06. https://www.unicef.org/georgia/media/1131/file

დანართი:

კვლევის ლინკი:

https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSfxOuNwSDeHtug9q1cHJj41Fhvyk38K20Ddlz4NuiaO2zmYvQ/viewform?fbclid=IwAR0fteySAlFkqMl6aExxbtEJTcJEvbfUqJ1vuQedn2jrwsIy0yN2idbhW4Y

ცხრილი №1.

	საშუალო სიმდიდრე
თეთრკანიანი ოჯახები	933 700 $
შავკანიანი ოჯახები	135 200 $
ესპანური ოჯახები	191 200 $

წყარო: https://www.federalreserve.gov/econres/notes/feds-notes/recent-trends-in-wealth-holding-by-race-and-ethnicity-evidence-from-the-survey-of-consumer-finances-20170927.htm

ცხრილი №1.1

უთანასწორობას მორგებული ჰუმანური განვითარების ინდექსი

| | | ჰუმანური განვითარების ინდექსი | უთანასწორობას მორგებული ინდექსი | | | უთანასწორიბის ინდექსი | | |

დიაგრამა №13



დიაგრამა №14



დიაგრამა №16



დიაგრამა №18



დიაგრამა №20



დიაგრამა №21



დიაგრამა №22



დიაგრამა №23